

საპენსიო აქტივების მმართველი კომპანიების
პროცედურების ოპტიმიზაცია ბლოკჩეინ
ტექნოლოგიის გამოყენებით - საქართველოს
მაგალითზე



ნათია გოგობერიშვილი
ლევან ვარდუაშვილი
ნატო დემეტრაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში*

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ნიკოლოზ ქოიავა, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2018

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია გოგობერიშვილი

ლევან ვარდუაშვილი

ნატო დემეტრაშვილი

22/06/2018

აბსტრაქტი

მიმდინარე ნაშრომი მოიცავს ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებით საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სისტემის მმართველი კომპანიების პროცედურების ოპტიმიზაციის შესაძლებლობის ანალიზს.

ნაშრომში განხილულია საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სქემის არსი, სტრუქტურა, მისი განხორციელებისათვის კანონით დაშვებული პროცესი, პროცედურები და ადმინისტრირება, მონაწილე მხარეები და მათი ფუნქცია-მოვალეობები.

ნაშრომში აგრეთვე განხილულია ბლოკჩეინ ტექნოლოგიის არსი, მისი უპირატესობები, მოყვანილია მაგალითები პრაქტიკაში - რა სფეროებში ხდება ამ ტექნოლოგიის გამოყენება და რა დადებითი შედეგები მოაქვს მას. განხილულია აქტივების მართვაში მისი როლი, თუ როგორ შეუძლია მოახდინოს პროცესების ავტომატიზაცია - პირობითი ლოგიკის „სმარტ კონტრაქტები“-ს გამოყენებით.

ნაშრომის მიზანია, რომ ახალი ტექნოლოგია მოერგოს საპენსიო ფონდს იმგვარად, რომ შეამციროს ადმინისტრაციული დანახარჯები პროცესების ავტომატიზაციით და აღამაღლოს საიმედოობის და დაცულობის დონე.

ჩატარდა შერეული ტიპის კვლევა. თვისობრივი კვლევის ჩაღრმავებული ინტერვიუს ფარგლებში გამოიკითხა საჯარო რეესტრის წარმომადგენელი. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა 300 ადამიანს, რამდენად იზიარებენ ბლოკჩეინ ტექნოლოგიის დანერგვას და რამდენად საიმედოდ მიაჩნიათ. შედარებითი ანალიზური კვლევა, იმის გასარკვევად, თუ, როგორ შეცვლის და რა შედეგებს მოიტანს დაგროვებითი საპენსიო ფონდის ფუნქციონირება ბლოკჩეინ ტექნოლოგიისა და „სმარტ კონტრაქტები“-ს გამოყენებით.

კვლევების შედეგად ბლოკჩეინის გამოყენების მთავარ ბენეფიტს წარმოადგენს უსაფრთხოება, საიმედოობის ამაღლება და ტრანზაქციული ხარჯების შემცირება.

გამოკითხული საზოგადოების უმეტესი ნაწილი არ არის მზად გაიზიაროს ინოვაციური ტექნოლოგიის ჩართულობა საპენსიო სისტემაში.

ნაშრომის ბოლოს შემუშავებულია რეკომენდაციები თუ როგორ უნდა ამაღლდეს მოსახლეობის ცნობიერების დონე.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: საპენსიო ფონდი, ბლოკჩეინ ტექნოლოგია, „სმარტ კონტრაქტები“

Abstract

Current work obtains Georgian pensionary system optimization analysis of procedures of managing companies using blockchain technologies.

In this work it is discussed Georgian pensionary accumulation project being, structure allowed realization process according to the law, also procedures and administration, participants and their functions and obligations.

Also it is discussed blockchain technology being, it's preferences, there are brought examples in practice – in which sphere is possible using this technology and how positive results it brings. It is explained how it can provide process automation using conditional logic – “Smart contracts”

The aim of this essay is this new technology obtains the pensionary fund so that dismisses administrative expenses and raises the safety and insurance level.

Have been held mixed type researches and interviewed public registry representative. 300 people have been researched about blockchain technology implementation and realize how safe and useful will be these “Smart Contracts”.

According to the researches the main benefit of the using blockchain is safety, increasing trust and dismissing transaction expenses. The majority of interviewed part is not ready to share this innovation technology in pensionary system.

At the end of this essay it is worked out recommendations of increasing the knowledge level of population.

The main thematic words: pensionary fund, Blockchain technology, “Smart Contracts”